



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 02 ივლისის
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, ტარიელ კაკაბაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

(ა) შალვა მჭედლიშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, საერთო სასამართლოების მოსამართლის ან/და პროკურორად მუშაობის 3 წლიანი სტაჟის მქონე პირები გადიან ადაპტაციის პროგრამის მხოლოდ თეორიულ კურსს. განმცხადებელმა შალვა მჭედლიშვილმა წარმოადგინა მოსამართლედ მუშაობის შესაბამისი სტაჟისა და 2019 წლის საგაზაფხულო ნაკადის ფარგლებში, ადაპტაციის პროგრამის 3 თვიანი თეორიული ნაწილის გავლის დამადასტურებელი ცნობები.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შალვა მჭედლიშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) თინათინ ესებუას განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს

კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თინათინ ესებუას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(გ) გიორგი ჭიალაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი ჭიალაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(დ) მარიამ ლაბარტყავას განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ ლაბარტყავას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ე) ნინო მეზვრიშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო მეზვრიშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

(ა) წევრები გაეცნენ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ მანანა ჩუბინიძის, შორენა ურუმაშვილის და ზვიად სურმანიძის განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს მანანა ჩუბინიძის, შორენა ურუმაშვილისა და ზვიად სურმანიძის მიერ, ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

(ბ) წევრები გაეცნენ დავით ხომერიკის განცხადებას ხელახლა გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2017 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების თანახმად, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, დავით ხომერიკს შეუჩერდა ასოციაციის წევრობა 5 წლის ვადით. დავით ხომერიკის მიერ, მიმდინარე წლის 27 ივნისს წარმოდგენილ იქნა სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი

მუდმივმოქმედი კომისიის 2019 წლის 14 ივნისის N 217-უ/19 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად დავით ხომერიკს საადვოკატო საქმიანობის ჩამორთმეული უფლება აღუდგა ვადამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის 2019 წლის 14 ივნისის N 217-უ/19 გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც დავით ხომერიკს საადვოკატო საქმიანობის ჩამორთმეული უფლება აღუდგა ვადამდე და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს დავით ხომერიკის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა: შორენა ურუმაშვილი, დავით სივსივამე, ლაშა ნავროზაშვილი, მიხეილ გოგიშვილი, თინა პაპიაშვილი, მზია ჭიჭინაძე, ზვიად გაბისონია, ნოდარ ჯაველიძე, შალვა ნიკვაშვილი, თამთა თვალავამე, 2019 წლის საწევრო დავალიანებით წევრობის შეჩერება: ზაზა მალრამე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018-2019 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამავდროულად, 2019 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირს - ზაზა მალრაძეს ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდება ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4: წევრობის შეწყვეტის შესახებ განცხადების განხილვა კონსტანტინე გუნია

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული კონსტანტინე გუნიას განცხადება წევრობის შეწყვეტის შესახებ.

საკითხი 5. საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა:

აღმასრულებელ საბჭოს მიეწოდა ინფორმაცია, რომ საწევრო გადასახადის გადახდის სხვადასხვა დროით გადავადებას ითხოვდნენ შემდეგი წევრები: ანი მჭედლიძე, სალომე ნაცვლიშვილი, მზია ფხალაძე, თამარ ბოსტაშვილი, ცისანა ბერულავა, თამარ ჭანტურია, რუსუდან კვინიკაძე, თამარ მეზონია, თეონა ფერაძე, ნატო ნეზიერიძე, დავით ჩალაძე, ნუგზარ ელიავა, მანანა კაჭარავა, ციალა მირცხულავა, იოსებ ჭონქაძე, თამარ დოლონაძე, შორენა ბარათაშვილი, რევაზ კაკუშაძე, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, ტრისტან ლომიძე, მანანა ბოგვერაძე, თამარ ტიგინაშვილი, ხათუნა ბუცხრიკიძე, ზურაბ იმერლიშვილი, გივი ღვინიაშვილი, გელა მამუკაშვილი, თეონა გუგეშაშვილი, ხათუნა მანჯგალაძე, შორენა ცვიფურიშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე, მაკა სალხინაშვილი, თეა ღვინჯილია, გიორგი გოლუბიანი, ნინო დოლაბერიძე, ნანა საჯაია, ნათელა ჩერქეზია, ლაშა წურწუშია, ნატო ცნობილაძე, მაყვალა მოწყობილი, მამუკა ლომიძე, მარიამ სანებლიძე, სოფიო ქანთარია, მანანა გელაშვილი, შოთა ჯანანაშვილი, ლაშა გოგინაშვილი, შალვა გეწაძე, ქეთევან ჭაბუკიანი, თეიმურაზ მეზვრიშვილი, რატი ხაჩიძე, ციური ნონიკაშვილი, მევლუდ ჯანჯღავა, ირაკლი ჩახნაშვილი, შორენა კაპანაძე, ეკატერინე მახარაშვილი, მაია ლიპარტელიანი, ნანა რევაზიშვილი, ლელა ქოჩეჩაშვილი, ბესიკ ღვინჯილია, მაია გოგლიძე, ირაკლი გვენეტაძე, ავთანდილ ბუაძე, თინათინ ბასილაშვილი, გულო ღვაჩლიანი, მურმან ქამადაძე, ვალერიან დოლიძე, ინგა ბიბილეიშვილი, ინგა ბოლოთაური, როლანდ ჭინჭარაშვილი, თამაზ სვანიშვილი, ბელა თალიაშვილი, ლაშა გოლუბიანი, ლელა აბაშმაძე, ვახტანგ გაგნიძე, ოლეგ ღვალაძე, მურთაზ კლდიაშვილი, სულხან ხმალაძე, კახაბერ ხვედელიძე, თინათინ დვალი, ნაირა ჯუკაშვილი, ნინო კაპანაძე, მაია დონაძე, ქრისტინე ჩხიკვაძე, თინათინ მუმლაძე, ირაკლი კუჭუხიძე, ხათუნა მარკოიშვილი, მანანა დალაქიშვილი, ირაკლი ზაქარიაძე, კახაბერ იოსელიანი, ნოდარ ჯაველიძე, მამუკა ტივიშვილი, კახაბერ ჭიბრიშვილი, თინათინ ფრუიძე, ლიანა შავლაძე, სოფიო ესართია, გიორგი მჭედლიძე, კახა კილაძე, ალექსანდრე ზუბიაშვილი, ბექა გეგუჩაძე, ოლივო კვინიკაძე, თამარ ნუცუბიძე, დიომიდე ფხაკაძე, ანა გოგოლაური, ნიკოლოზ კანკავა, კახაბერ მუმლაძე, ირაკლი გუნიავა,

ზაზა მესხი, ანა კეკელიძე, მზევიანარ კოსტავა, ვლადიმერ ნორაკიძე, დავით კორკოტაშვილი, კარლო სიჭინავა, ნიკოლოზ წულუისკირი, ნიკოლოზ კვანტრიშვილი, ასმათ ნეფარიძე, ფატმან ნამიჭეიშვილი, მაგული ლიპარტელიანი, კონსანტინე ქორიძე, ავთანდილ ვახტანგიშვილი, ალექსანდრე კობაიძე, თამარი გიგინეიშვილი, თეა დარსაველიძე, რამაზ იობიძე, ირაკლი მახათაძე, ცირა ჯავახიშვილი, ელენე სიჭინავა, კახაბერ როდინაძე, დავით ზურაბაშვილი, თამარ ბუბაშვილი, მარიკა ხელაია, ლევან ცეცხლაძე, თამუნა ხაჩირაშვილი, მალხაზ თევდორაძე, ირაკლი ხიმშიაშვილი, მარიამ ბოჭორიშვილი, მამუკა ცაავა, ლევან ხელაია, მაკა გოგოხია, დარეჯან მამულაშვილი, ეკატერინე მალრაძე, ამირან ხუციშვილი, ხათუნა ჩიფჩიური, ქეთევან ქეშიკაშვილი, მადონა ქეშიკაშვილი, გიული მგელაძე, თამუნა ხაჩირაშვილი, ირაკლი ჯოლოგუა, ნათია პაპინაშვილი, ირაკლი ხიმშიაშვილი, ნათია აფციაური, მარიამ ბოჭორიშვილი, მარი დოლბაია, არჩილ ჯორთმენაძე, ამირან ბოლქვაძე, მალხაზ ჯანგირაშვილი, ირაკლი გაფრინდაშვილი, ირაკლი შენგელია, მირიან კვეხერელი, მალხაზ გობოსაშვილი, დემურ ალხაზიშვილი, ეთერ ხორნაული, ირინა ბათიაშვილი.

წევრები გაეცნენ ინფორმაციას საწევროს გადახდის ვადის გადავადების შესახებ და განაცხადეს, რომ, განმცხადებლების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და განისაზღვროს ერთი კონკრეტული, გონივრული ვადა საწევრო დავალიანების გადასახდელად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- (ა) ზემოთჩამოთვლილ პირთა განცხადებები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ საწევრო დავალიანების გადახდის ვადის გადავადების ნაწილში და მათთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2019 წლის 15 სექტემბრის, 18:00 საათი;
- (ბ) ეცნობოთ განმცხადებლებს მიღებული გადაწყვეტილებისა და გადავადებულ ვადაში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე.

საკითხი 6. 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 12.04.2019 წლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2019 წლის პირველ მაისს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

აღმასრულებელი საბჭოს 30.05.2019 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა 20 კალენდარული დღით, 2019 წლის 19 ივნისამდე.

აღმასრულებელი საბჭოს 19.06.2019 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა კიდევ 12 კალენდარული დღით, 2019 წლის 2 ივლისამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან დღემდე, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების ინფორმირება ინტენსიურად ხორციელდებოდა: საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია გამოქვეყნდა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ფეისბუქ-გვერდზე და გაზეთ “რეზონანსში”. დაინტერესებულ წევრებს ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე 10-ჯერ გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები და არაერთხელ მოხდა მათთან პირდაპირი სატელეფონო კომუნიკაცია ასოციაციისთვის ცნობილ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე. ასოციაციის წევრთა ნაწილმა მომართა ასოციაციას საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თხოვნით, რომელიც დაკმაყოფილდა. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, 2019 წლის 02 ივლისის მდგომარეობით ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა რაოდენობამ, რომელთაც არც დავალიანება დაუფარავთ და არც დავალიანების გადახდის გადავადებით მოუმართავთ ასოციაციისათვის, შეადგინა 589 წევრი.

თავმჯდომარემ წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმასრულებელი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფარულ კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0), მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

(ა) აღმასრულებელი საბჭოს 12.04.2019 წლის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, გამოცემულ იქნას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრებს შეუწყდეთ ასოციაციის წევრობა “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21³ მუხლის 1-ლი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო დავალიანების გადაუხდელობის გამო (დანართი #1: დავალიანების მქონე წევრთა სია);

(ბ) ასოციაციის წევრობა შეწყვეტილ წევრთა სია განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge, ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია /Georgian Bar Association/) და გამოქვეყნდეს გაზეთ “რეზონანსში”. ასოციაციის წევრობა შეწყვეტილ წევრებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემისა მათთვის წევრობის შეწყვეტის თაობაზე, ასოციაციისათვის ცნობილ მობილური ტელეფონის ნომრებზე;

(გ) 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე იმ წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 02.07.2019 წლის გადაწყვეტილებით 2019 წლის 15 სექტემბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობოთ, რომ განსაზღვრულ ვადაში

საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 02.07.2019 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა;

(დ) ეცნობოს ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ წევრებს, რომ მათ მიერ 2019 წლის 26 ივლისის ჩათვლით საწევრო დავალიანების გადახდის შეთხვევაში, გადახდისთანავე აღუდგებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 7. ადვოკატთა წახალისების ღონისძიებების საკითხის განხილვა უფასო იურიდიული დახმარების გაწევაზე

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციამ მიმდინარე წელს ადვოკატთა ჩართულობით განახორციელა არაერთი პრო ბონო ღონისძიება, მათ შორის 18 მაისს უფასო იურიდიული კონსულტაციის დღის ფარგლებში უფასო იურიდიული მომსახურება გაუწია 20-მდე ბენეფიციარს.

ასევე, 20-21 ივნისს, თბილისში მიმდინარე აქციების შედეგად განვითარებულ მოვლენების გამო, აქციაზე დაკავებულთა დაცვის უფლებისა და სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად შეიქმნა ადვოკატთა ჯგუფი, რომლებმაც უსასყიდლოდ განახორციელეს 100-ზე მეტი პირის წარმომადგენლობა სასამართლოში, რის შედეგადაც დაკავებული პირები გათავისუფლდნენ სასამართლო დარბაზებიდან მსუბუქი, არასაპატიმრო სახდელეებით.

ასევე, თავმჯდომარემ წევრებს შეახსენა, რომ 2018 წლის 1-ლი ივლისიდან ადვოკატთა ასოციაცია ახორციელებს პროექტს რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების (მენტალური და ფიზიკური) მქონე პირებისა და პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის უფასო იურიდიული მომსახურების გაწევა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში კონკურსის წესით საქართველოს მასშტაბით შეირჩა და სპეციალურად გადამზადდა 5 ადვოკატი რეგიონებიდან და 4 ადვოკატი თბილისიდან, რომლებმაც პროექტის ფარგლებში უსასყიდლოდ გაუწიეს სამართლებრივი დახმარება უკვე 25-მდე ბენეფიციარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ასოციაციის წესდების 15.1. პუნქტის “ც” ქვეპუნქტის შესაბამისად, აღმასრულებელი საბჭო ორგანიზებას უწევს ადვოკატების წახალისების ღონისძიებებს და მიზანშეწონილია ასოციაციამ საპატიო სიგელებით დააჯილდოვოს ის ადვოკატები, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს პრო-ბონო საადვოკატო საქმიანობით ადამიანის უფლებების დაცვასა და ასოციაციის კომიტეტების ფარგლებში ადვოკატთა უფლებების დაცვის საქმეში.

წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: პრო ბონო საადვოკატო საქმიანობით ადამიანის უფლებების და ასევე, ადვოკატთა უფლებების დაცვის სფეროში შეტანილი

წვლილისთვის ასოციაციის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ადვოკატები, რომლებმაც უსასყიდლოდ გაუწიეს სამართლებრივი დახმარება არაერთ კოლეგას თუ ბენეფიციარს (დანართი #2).

საკითხი 8. სხვადასხვა

(ა) წევრები გაეცნენ ადვოკატების ირაკლი გვილიას და გიორგი სარაჯიშვილის განცხადებებს თანდართული ბიოგრაფიებით ადვოკატთა ასოციაციის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ირაკლი გვილიას და გიორგი სარაჯიშვილის განცხადებები ადვოკატთა ასოციაციის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) წევრები გაეცნენ ადვოკატ მერი ჯაფარიძის განცხადებას ასოციაციის პრო ბონო სერვისების კომიტეტის დატოვების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის პრო ბონო სერვისების კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.6 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომიტეტის შემადგენლობიდან წევრის ვადამდე გაწვევის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მერი ჯაფარიძის განცხადება ასოციაციის პრო ბონო სერვისების კომიტეტის დატოვების თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**დავით ასათიანი
თავმჯდომარე**